სეპარატიზმის მამოძრავებელი ძალები ცენტრალურ აზიაში

(ყარაყალპაკეთის casestudy)

ქეთევან არჯევანიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით დარჩიაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ სხვა მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან არჯევანიშვილი, 09.06.2023

აბსტრაქტი

კონკრეტულ რეგიონებში ხელახალი სეცესიის პროცესის დაწყებამ და მხარდაჭერამ, რომლებიც ეძებენ ავტონომიას გავლენიანი სახელმწიფოებისგან, წარმოადგენს მნიშვნელოვან ახალ გამოწვევას გლობალურ სისტემაში. ამ ფაქტს შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს ცენტრალურ აზიაში. 2008 წლიდან მოვლენებმა საერთაშორისო დღის წესრიგში წინა პლანზე კვლავ სეპარატიზმის საკითხი დააბრუნა.

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს სეპარატიზმის მუდმივ აქტუალობას და თვალსაჩინო გავრცელებას ცენტრალურ აზიაში. რეგიონის კომპლექსური სოციალურ-პოლიტიკური დინამიკის, ისტორიული მემკვიდრეობისა და ეთნო-კულტურული სირთულეების შესწავლას, ის ხსნის სეპარატისტული მოძრაობების მამოძრავებელ ფაქტორებს. კვლევა ხელს უწყობს ცენტრალური აზიის თანამედროვე გეოპოლიტიკის უფრო ღრმა გაგებას. აქცენტი გაკეთებულია შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე: სეპარატიზმი და მისი ხელშემწყობი ძალა ცენტრალურ აზიაში და უზბეკეთში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფის - ყარაყალპაკების განხილვა, როგორც სეპარატიზმის ერთერთი "ხელშეწყობილი" კერა ცენტრალურ აზიაში.

ნაშრომის შექმნის პროცესში ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირის კედლების ჩამონგრევის შემდეგ, სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების ჯგუფები საფრთხეს უქმნიდნენ და კვლავ უქმნიან ამა თუ იმ ქვეყნის ავტონომიას და ტერიტორიულ მთლიანობას. ასევე. აღსანიშნია თვითონ სეპარატიზმის ძლიერი ფესვები - მისი კომპლექსურობა და მოგვარების გზების სირთულე.

ნაშრომის საკვლევი კითხვაა: *რა არის სეპარატიზმის ხელშემწყობი ძალა ცენტრალურ აზიაში? გარე ფაქტორების გავლენის კვლევა.* ნაშრომის საკვლევი კითხვა იკვლევს ცენტრალურ აზიაში სეპარატიზმის მზარდი გავრცელების ფაქტორებს, ხოლო აქცენტს აკეთებს გარე ძალების ზემოქმედებაზე. გარე აქტორების მიერ განხორციელებული პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენების გამოკვლევით, კვლევა მიზნად ისახავს რეგიონში სეპარატისტული მოძრაობების აღმავლობის ძირეული მოტივების გამოვლენას.

ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მსგავსად, რუსეთმა იმგვარად გადაანაწილა ტერიტორიები, რომ შეძლო სეპარატიზმის ძალისთვის ბიძგი მიეცა და ეს პროცესი გაეღვივებინა. აღნიშნული მოვლენისთვის საინტერესოდ მივიჩნევ უზბეკეთის, კერძოდ ყარაყალპაკეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობას, სადაც წლების განმავლობაში შეიმჩნევა სეპარატისტული ტალღები, რომელიც როგორც ქვეყნის შიგნიდან, ასევე ქვეყნის გარედანაა მხარდაჭერილი. განვიხილავ უზბეკეთში სეპარატიზმის გამოწვევებს და საფრთხეებს. ასევე მიმოვიხილავ თუ რა სახის გავლენას ახდენენ გარე ფაქტორები.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან ყაზახეთსა და უზბეკეთში სეპარატიზმის რამდენიმე ტალღა იყო. დღესაც ჩრდილოეთ ყაზახეთისა და ყარაყალპაკეთის მოსახლეობაზე გარე ფაქტორების, მეზობელი ქვეყნებისა და სხვადასხვა ქვეყანაში მსგავსი სეპარატისტულად განწყობილი ხალხის მოქმედებები ხელს უწყობს პროცესის უწყვეტობას.

Abstract

Initiating and supporting the process of re-secession in specific regions seeking autonomy from influential states represents a significant new challenge in the global system. This fact may be of particular importance in Central Asia. The events that have developed since 2008 brought the issue of separatism back to the forefront of the international agenda.

This paper examines the continuing relevance and apparent prevalence of separatism in Central Asia. Exploring the region's complex socio-political dynamics, historical legacy and ethno-cultural complexities, it explains the driving factors behind separatist movements. By examining their recurrence and influence, the study contributes to a deeper understanding of the contemporary geopolitics of Central Asia. Emphasis is placed on the following important issues: separatism and its facilitating power in Central Asia and consideration of the Karakalpaks, an ethnic group living in Uzbekistan, as one of the "facilitated" centers of separatism in Central Asia.

The research conducted in the process of creating the work confirmed once again that after the collapse of the walls of the Soviet Union, various ethnic minority groups posed a threat and continue to pose a threat to the autonomy and territorial integrity of this or that country. also. It is noted the strong roots of separatism itself - its complexity and the difficulty of ways of solving it.

The research question of the paper is: What is the driving force behind separatism in Central Asia? Study of the influence of external factors. The research question of the paper examines the factors behind the growing spread of separatism in Central Asia, while focusing on the influence of external forces. By examining the political, economic and cultural influences exerted by external actors, the study aims to reveal the underlying motivations behind the rise of separatist movements in the region.

The findings of the study clearly emphasize the important role of Russian influence in the region, which proves that Russia's presence is important in curbing Karakalpakstan's separatist tendencies. Without Russia's active involvement, the spread of separatism in these areas would be significantly reduced.